
BOSCH

Professional

GKS 140



Robert Bosch Power Tools GmbH
70538 Stuttgart
GERMANY

www.bosch-pt.com

1 609 92A 9L7 (2026.02) O / 17


1 609 92A 9L7


ka ორიგინალი ექსპლუატაციის ინსტრუქცია

ქართული..... გვ. 6











GKS 140


A




B




C



D



E



ქართული

უსაფრთხოების ტექნიკის მითითებები

ელექტროხელსაწყოს ზოგადი უსაფრთხოების გაფრთხილებები

⚠ გაფრთხილება **გაეცანით უსაფრთხოების ყველა გაფრთხილებას, ინსტრუქციას, ილუსტრაციას და სპეციფიკაციებს, რომლებიც ერთვის ამ ელექტროხელსაწყოს.** ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ინსტრუქციის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი, ხანძარი და/ან სერიოზული დაზიანება.

შეინახეთ ყველა გაფრთხილება და ინსტრუქცია მომავალში გამოსაყენებლად.

გაფრთხილებებში ტერმინი "ელექტროხელსაწყო" ეხება თქვენს ელექტროენერგიაზე მომუშავე (ელექტროქსელში ჩასართავ) ელექტროხელსაწყოს ან აკუმულატორზე მომუშავე (უკაბელო) ელექტროხელსაწყოს.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოება

- **სამუშაო ადგილი უნდა იყოს სუფთა და კარგად განათებული.** დაბინძურებული ან ჩაბნელებული ადგილები შესაძლოა გახდეს უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზი.
- **არ იმუშაოთ ელექტროხელსაწყოთი ფეთქებად გარემოში, სადაც არის აალებადი სითხეები, აირები ან მტვერი.** ელექტროხელსაწყოები წარმოქმნიან ნაპერწკლებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მტვრის აალება ან კვამლი.
- **ელექტროხელსაწყოს მუშაობისას მოარიდეთ ბავშვები და უცხო პირები.** ყურადღების გაფანტვამ შესაძლოა გამოიწვიოს კონტროლის დაკარგვა.

ელექტროუსაფრთხოება

- **ელექტრხელსაწყოს შტეფსელი უნდა იყოს როზეტის თავსებადი. არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ შეცვალოთ შტეფსელი. დამიწებულ ელექტროხელსაწყოსთან არ გამოიყენოთ ადაპტერის შტეფსელი.** შეუცვლელი შტეფსელი და შესაბამისი სადენები შეამცირებს ელექტროშოკის რისკს.
- **მოერიდეთ სხეულით კონტაქტს დამიწებულ ზედაპირებთან, როგორიცაა მილები, რადიატორები, ღუმელები და მაცივრები.** თუ თქვენი სხეული დამიწებულია, არსებობს ელექტროშოკის გაზრდილი რისკი.
- **ელექტროხელსაწყო მოარიდეთ წვიმას ან ნესტიან პირობებს.** ელექტროხელსაწყოში შეღწეული წყალი გაზრდის ელექტროშოკის რისკს.
- **არ გამოიყენოთ კაბელი სხვა დანიშნულებისთვის. არასოდეს გამოიყენოთ კაბელი ელექტროხელსაწყოს გადასატანად, გასაწევად ან გამოსართავად. მოაშორეთ კაბელი სითბოს, ზეთს, ბასრ კიდეებს ან მოძრავ ნაწილებს.** დაზიანებული ან ჩახვეული კაბელები ზრდის ელექტროშოკის რისკს.
- **ელექტროხელსაწყოთი გარეთ მუშაობისას გამოიყენეთ გარე გამოყენებისათვის შესაფერისი დამაგრძელებელი კაბელი.** გარე პირობებისთვის შესაფერისი კაბელის გამოყენება ამცირებს ელექტროშოკის რისკს.
- **თუ ელექტროხელსაწყოს მუშაობა ნესტიან ადგილას გარდაუვალია, გამოიყენეთ ნარჩენი დენისგან დამცავი მოწყობილობა (RCD).** RCD–ის გამოყენება ამცირებს ელექტროშოკის რისკს.

პირადი უსაფრთხოება

- **ელექტროხელსაწყოთი მუშაობისას იყავით ფხიზლად, აკონტროლეთ საკუთარი მოქმედება და იხელმძღვანელეთ საღი აზრით. არ გამოიყენოთ ელექტროხელსაწყო დაღლილ მდგომარეობაში ან ნარკოტიკების, ალკოჰოლის ან მედიკამენტების ზემოქმედების ქვეშ.** უყურადღებობამ ელექტროხელსაწყოსთან მუშაობისას შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული პირადი ზიანი.
- **გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობა. ყოველთვის ატარეთ თვალის დამცავი საშუალება.** დამცავი აღჭურვილობა, როგორიცაა მტვრისგან დასაცავი ნიღაბი, მოცურებისგან დამცავი უსაფრთხო ფეხსაცმელი, ჩაფხუტი ან სმენის დამცავი მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება შესაბამის პირობებში, შეამცირებს პირად დაზიანებებს.
- **უნებლიე ჩართვის აღკვეთა. დარწმუნდით, რომ ელექტრომოწყობილობა გამორთულ მდგომარეობაშია, სანამ ჩართავთ დენის წყაროში და/ან ჩასვამთ აკუმულატორს, აიღებთ ხელში ან გადაიტანთ იარაღს.** ელექტროხელსაწყოს გადატანა გადამრთველზე განთავსებული თითით ან ჩართულ მდგომარეობაში შესაძლოა გახდეს უბედური შემთხვევის გამომწვევი მიზეზი.
- **ელექტროხელსაწყოს ჩართვამდე, გამოიღეთ ნებისმიერი რეგულირების ან ქანჩის გასაღები.** რეგულირების ან ქანჩის გასაღები, რომელიც ჩარჩენილია ელექტროხელსაწყოს მბრუნავ ნაწილში, შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება.
- **არ გადააჭარბოთ. ყოველთვის მყარად იდექით ფეხზე და დაიცავით წონასწორობა.** ეს შესაძლებლობას გაძლევთ უკეთესად აკონტროლოთ ელექტროხელსაწყო მოულოდნელ სიტუაციებში.
- **ჩაიცვით სათანადოდ. არ ატაროთ ფართო ტანსაცმელი ან სამკაული. თქვენი თმა და ტანსაცმელი მოარიდეთ მოძრავ ნაწილებს.** ფართო ტანსაცმელი, სამკაული ან გრძელი თმა შესაძლოა მოხვდეს მოძრავ ნაწილებში.

- ▶ **თუ გათვალისწინებულია მტვრის შემკრეფი და შესასრუტი მოწყობილობების შეერთება, დარწმუნდით, რომ ისინი შეერთებულია და სწორად გამოიყენება.** მტვრის შემგროვებლის გამოყენებამ შესაძლოა შეამციროს მტვერთან დაკავშირებული საფრთხეები.
- ▶ **ხელსაწყობთან მუშაობის დიდი გამოცდილების გამო არ დაკარგოთ სიფხიზლე და არ უგულებელყოთ ხელსაწყოსთან მუშაობის უსაფრთხოების პრინციპები.** უყურადღებო ქმედებამ შესაძლოა წამში გამოიწვიოს მძიმე დაზიანება.

ელექტროხელსაწყოს გამოყენება და მოვლა

- ▶ **არ დაატანოთ ძალა ელექტროხელსაწყოს. გამოიყენეთ სწორი ელექტროხელსაწყო დანიშნულებისამებრ.** სწორი ელექტროხელსაწყო უკეთესად და უსაფრთხოდ შეასრულებს სამუშაოს განკუთვნილ სიჩქარეზე.
- ▶ **არ გამოიყენოთ ელექტროხელსაწყო, თუ გადამრთველი არ რთავს და გამორთავს მას.** ნებისმიერი ელექტროხელსაწყო, რომლის კონტროლი შეუძლებელია გადამრთველით, საშიშია და უნდა შეკეთდეს.
- ▶ **ელექტროხელსაწყოს ნებისმიერი მორგების განხორციელებამდე, აქსესუარების შეცვლამდე ან მის შენახვამდე, გამორთეთ შტეფსელი დენის წყაროდან და/ან მოხსენით აკუმულატორი, თუ ის მოხსნადია.** უსაფრთხოების ასეთი პრევენციული ზომები ამცირებს ელექტროხელსაწყოს შემთხვევით ჩართვის რისკს.
- ▶ **შეინახეთ გამოუყენებელი ელექტროხელსაწყოები ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას და ნუ მისცემთ უფლებას პირებს, რომლებმაც არ იციან ელექტროხელსაწყოსთან მუშაობა ან არ გაეცნენ წინამდებარე ექსპლუატაციის ინსტრუქციებს.** ელექტროხელსაწყოები საშიშია მოუმზადებელი მომხმარებლების ხელში.
- ▶ **მოუარეთ ელექტროხელსაწყოებს და აქსესუარებს. შეამოწმეთ მოძრავი ნაწილების განლაგების ან შეკავშირების სისწორე, ნაწილების სიმრთელე და ნებისმიერი სხვა მდგომარეობა, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ელექტროხელსაწყოს მუშაობაზე. დაზიანების შემთხვევაში, შეაკეთეთ ხელსაწყო გამოყენებამდე.** ბევრი უბედური შემთხვევა გამოწვეულია ცუდად მოვლილი ელექტროხელსაწყოებით.
- ▶ **მჭრელი ხელსაწყოები შეინახეთ ბასრ და სუფთა მდგომარეობაში.** სათანადოდ მოვლილი საჭრელი ხელსაწყოები ბასრი მჭრელი პირებით ნაკლებად იჭედება და უფრო ადვილი სამართავია.
- ▶ **გამოიყენეთ ელექტროხელსაწყო, აქსესუარები და დასაერთებელი ელემენტები ამ ინსტრუქციის შესაბამისად, სამუშაო პირობებისა და შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით.** ელექტროხელსაწყოს გამოყენებამ სხვა დანიშნულებით შესაძლოა გამოიწვიოს სახიფათო მდგომარეობა.
- ▶ **სახელურები და ზედაპირები შეინახეთ მშრალად, სუფთად, ცხიმისა და დაბინძურების გარეშე.** მოლიპული სახელურები და ზედაპირები არ იძლევა ხელსაწყოს უსაფრთხო გამოყენების და კონტროლის შესაძლებლობას მოულოდნელ სიტუაციებში.

ტექნიკური მომსახურება

- ▶ **თქვენი ელექტროხელსაწყოს ტექნიკური მომსახურებისთვის მიმართეთ კვალიფიციურ სპეციალისტს მხოლოდ იდენტური სათადარიგო ნაწილების გამოყენებით.** ეს უზრუნველყოფს ელექტროხელსაწყოს უსაფრთხოების დაცვას.

უსაფრთხოების ინსტრუქციები წრიული ხერხებისთვის

ჭრის პროცედურები

- ▶ ⚠ **საფრთხე: ხელები შორს დაიჭირეთ ჭრის ადგილისა და დანისგან. მეორე ხელით დაიჭირეთ დამხმარე სახელური ან ძრავის კორპუსი.** თუ ხერხს ორივე ხელით დაიჭერთ, ხელებს დანით ვერ გაიჭრით.
- ▶ **არ შეყოთ ხელი დასამუშავებელი დეტალის ქვეშ.** მცველი ვერ დაგიცავთ დასამუშავებელი დეტალის ქვეშ მყოფი დანისგან.
- ▶ **ჭრის სიღრმე შეუსაბამეთ დასამუშავებელი დეტალის სისქეს.** დასამუშავებელი დეტალის ქვეშ უნდა ჩანდეს დანის პირის ერთ სრულ კბილანაზე ნაკლები.
- ▶ **ჭრის დროს არასოდეს დაიჭიროთ დასამუშავებელი დეტალი ხელში ან ფეხის გასწვრივ. დასამუშავებელი დეტალი დააფიქსირეთ სტაბილურ პლატფორმაზე.** მნიშვნელოვანია მუშაობის სწორი შესრულება, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სხეულის ზემოქმედება, დანის ჩაჭედვა ან კონტროლის დაკარგვა.
- ▶ **მუშაობის შესრულებისას, სადაც მჭრელი ხელსაწყო შეიძლება შეეხოს ფარულ გაყვანილობას ან საკუთარ კაბელს, დაიჭირეთ ელექტროხელსაწყო იზოლირებული სახელურებით.** დენგამტარ გაყვანილობასთან კონტაქტის შედეგად დენგამტარ გაყვანილელექტროხელსაწყოს ლითონის ნაწილები შესაძლოა დენგამტარი გახდეს და გამოიწვიოს ოპერატორის ელექტროშოკი.
- ▶ **გაჩეხვისას ყოველთვის გამოიყენეთ დამცავი ფარი ან სწორპირიანი მიმმართველი.** ეს აუმჯობესებს ჭრის სიზუსტეს და ამცირებს დანის გაღუნვის ალბათობას.
- ▶ **ყოველთვის გამოიყენეთ სწორი ზომის და ფორმის დანები (ალმასის ფორმის და არა მრგვალი).** დანები, რომლებიც არ არის ხერხის

სამაგრი მოწყობილობის თავსებადი, კარგავენ ცენტრირებას, რაც იწვევს კონტროლის დაკარგვას.

- **არასოდეს გამოიყენოთ დაზიანებული ან არასწორი დანის საყელური ან ჭანჭიკი.** დანის საყელურები და ჭანჭიკი სპეციალურად შექმნილია თქვენი ხერხის ოპტიმალური და უსაფრთხო მუშაობისთვის.

უკუგდება იწვევს და დაკავშირებული გაფრთხილებები

- უკუგდება არის მოულოდნელი მყისიერი რეაქცია ხერხის დანის ჩაჭედვაზე, გაჭედვაზე ან ხერხის დანის გადაწევაზე, რის შედეგად ხერხი უკონტროლოდ გამოდის დასამუშავებელი დეტალიდან ოპერატორის მიმართულებით;

- როდესაც ხდება დანის ჩაჭედვა ან მჭიდროდ გაჭედვა ჭრილის დახურვით, დანა ჩერდება და ძრავის რეაქცია სწრაფად გადაადგილებს მოწყობილობას უკან ოპერატორისკენ;

- თუ დანა გადაიგრიხება ან არასწორად მოთავსდება ჭრილში, დანის უკანა კიდეზე არსებული კბილანები შეიძლება ჩაიჭრას ხის ზედაპირზე, რის შედეგად დანა ამოხტება ჩანაჭრიდან და უკან გადახტება ოპერატორისკენ.

უკუგდება არის ელექტროხელსაწყოს არასწორი გამოყენების და/ან არასწორი სამუშაო პროცედურების ან პირობების შედეგი და მისი თავიდან აცილება შესაძლებელია შესაბამისი ზომების მიღებით, როგორც ქვემოთ მოცემულია.

- **ორივე ხელით მყარად დაიჭირეთ ხერხი და განათავსეთ ხელები ისე, რომ გაუძლოთ უკუგდების ძალებს. განათავსეთ თქვენი სხეული დანის ნებისმიერ მხარეს, მაგრამ არა დანის გასწვრივ.** უკუგდების შედეგად, ხერხი შეიძლება გადახტეს უკან, მაგრამ ოპერატორს შეუძლია აკონტროლოს უკუგდების ძალები, სწორი ზომების მიღების შემთხვევაში.
- **დანის გაღუნვის შემთხვევაში ან როდესაც ჭრა წყდება ნებისმიერი მიზეზით, აუშვით გამშვებს და ხერხი უმოძრაოთ გააჩერეთ მასალაში, სანამ დანა სრულად არ გაჩერდება. არასოდეს ეცადოთ გამოიღოთ ხერხი სამუშაო დეტალიდან ან გამოწიოთ ხერხი უკან, სანამ დანა მოძრაობს, ამან შეიძლება გამოიწვიოს უკუგდება.** გამოიკვლიეთ და მიიღეთ მაკორექტირებელი ზომები დანის გაღუნვის მიზეზის აღმოსაფხვრელად.
- **სამუშაო დეტალში ხერხის ხელახლა გაშვებისას, მოახდინეთ ხერხის დანის ცენტრირება განაჭერში ისე, რომ ხერხის კბილანები არ იყოს შესული მასალაში.** თუ ხერხის დანა იღუნება, ხერხის ხელახლა გაშვებისას ის შეიძლება ამოვიდეს, ან მოხდეს მისი უკუგდება სამუშაო დეტალიდან
- **დანის ჩაჭერის და უკუგდების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, დაიჭირეთ დიდი ზომის პანელები.** დიდი ზომის პანელებს საკუთარი წონის ქვეშ გაღუნვის ტენდენცია აქვთ. საყრდენები უნდა განთავსდეს პანელის ქვეშ ორივე მხარეს, ჭრის ხაზთან და პანელის კიდეებთან ახლოს.
- **არ გამოიყენოთ ბლაგვი ან დაზიანებული დანები .** გაუღესავი ან არასწორად დაყენებული დანები წარმოებენ ვიწრო ჭრას, რაც იწვევს ჭარბ ხახუნს, დანის გაღუნვას და უკუგდებას.
- **ჭრის შესრულებამდე, დანის სიღრმე და დანის სიღრმის ბლოკირების ბერკეტები უნდა იყოს მოჭერილი და დაფიქსირებული.** თუ დანის რეგულირება იცვლება ჭრის დროს, ამან შეიძლება გამოიწვიოს გაღუნვა და უკუგდება.
- **განსაკუთრებით ფრთხილად იყავით არსებულ კედლებში ან ბრმა არეებში ხერხვის დროს.**გამოსულმა დანამ შეიძლება გაჭრას ობიექტები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უკუგდება.

ქვედა მცველის ფუნქცია

- **ყოველ გამოყენებამდე შეამოწმეთ ქვედა მცველი სწორ დახურვაზე. არ ამუშაოთ ხერხი, თუ ქვედა მცველი არ მოძრაობს თავისუფლად და იმწამსვე არ იხურება. არასოდეს მოუჭიროთ ან დააბათ ქვედა მცველი ღია პოზიციაში.**თუ ხერხი შემთხვევით დავარდება ქვედა მცველი შეიძლება გაიღუნოს.აწიეთ ქვედა მცველი გამოსაწევი სახელურით და დარწმუნდით, რომ ის თავისუფლად მოძრაობს და არ შეეხოთ დანას და სხვა ნაწილს, ჭრის ყველა კუთხესა და სიღრმეში.
- **შეამოწმეთ ქვედა მცველის ზამბარის მუშაობა. თუ მცველი და ზამბარა არ მუშაობენ სწორად, გამოყენებამდე საჭიროა მათი ტექნიკური მომსახურება.** ქვედა მცველი შეიძლება ნელა მუშაობდეს დაზიანებული ნაწილების, წებოვანი დანალექის ან ნამსხვრევების დაგროვების გამო.
- **ქვედა მცველი შეიძლება გამოწიოთ ხელით მხოლოდ სპეციალური ჭრისთვის, როგორიცაა "ჩაღრმავება" და "რთული ჩაჭრები". აწიეთ ქვედა მცველი გამოსაწევი სახელურით და როგორც კი დანა შედის მასალაში, ქვედა მცველი უნდა გამონთავისუფლდეს.**ყველა სხვა ხერხისთვის, ქვედა მცველი ავტომატურად უნდა მუშაობდეს.
- **ყოველთვის უზრუნველყავით, რომ ქვედა მცველი ფარავს დანას, სანამ დადეფთ დანას იატაკზე.**დაუცველი, მბრუნავი დანა გამოიწვიოს ხერხის უკუსვლა და ყველაფრის გაჭრა, რაც მის გზაზეა.მიაქციეთ ყურადღება, რა დროა საჭირო დანის გასაჩერებლად გადამრთველის გათავისუფლების შემდეგ.

დამატებითი უსაფრთხოების გაფრთხილებები

- **არ დაუშვათ ნათალის გამომყრელი კონტაქტში შევიდეს თქვენს ხელებთან.**თქვენ შეიძლება დაშავდეთ მბრუნავი ნაწილებით.
- **არ გამოიყენოთ ხერხი თქვენი თავის დონის ზემოთ.** ამის გაკეთება ნიშნავს, რომ თქვენ ვერ

აკონტროლებთ სათანადოთ ელექტროხელსაწყოს.

- ▶ **გამოიყენეთ შესაბამისი დეტექტორები სამუშაო ზონაში ფარული მიწოდების ხაზების დასადგენად ან მიმართეთ დახმარებისთვის ადგილობრივ კომუნალური მომსახურების კომპანიას.** კონტაქტმა ელექტროხაზებთან შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი და ელექტროშოკი. გაზის ხაზის დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს აფეთქება. წყლის ხაზში შეღწევა იწვევს ქონების დაზიანებას ან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი.
- ▶ **დაიჭირეთ ელექტროხელსაწყო მჭიდროთ ორივე ხელით და დარწმუნდით, რომ მყარად დგახართ ფეხზე.** ელექტროხელსაწყო უფრო საიმედოთ შეგიძლიათ მართოთ ორივე ხელით.
- ▶ **არ ამუშაოთ ელექტროხელსაწყო სტაციონარულ მდგომარეობაში.** ის არ არის თავსებადი სახერხ დაზგაზე მუშაობისთვის.
- ▶ **როდესაც აწარმოებთ ჩაჭრას არაპირდაპირი კუთხით, დაამაგრეთ ხერხის მიმმართველი ფირფიტა ისე, რომ არ გადაიხაროს გვერძე.**გვერდით გადაადგილების შემთხვევაში ხერხის დანა შეიძლება გაიჭედოს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უკუგდება.
- ▶ **დააფიქსირეთ სამუშაო ნაწილი.** ნაკეთობის დაფიქსირება დამჭერი მოწყობილობით ან გირაგით უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ხელით.
- ▶ **ყოველთვის დაელოდეთ, სანამ ელექტროხელსაწყო ბოლომდე გაჩერდება სანამ დადებთ მას ქვემოთ.** გამოყენებისას ხელსაწყო შეიძლება გაიჭედოს და გამოიწვიოს თქვენს მიერ ელექტროსაწყოზე კონტროლის დაკარგვა.
- ▶ **არ გამოიყენოთ HSS ხერხის დანები.** ასეთი ხერხის დანები შეიძლება მარტივად გატყდეს.
- ▶ **არ გახერხოთ ფერადი ლითონი.** ცხელმა ანახლეჩებმა შეიძლება აანთონ მტვერშემკრები.
- ▶ **ატარეთ მტვრისგან დამცავი ნიღაბი.**

პროდუქტის და მომსახურების აღწერილობა



წაიკითხეთ ყველა მითითება და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია. უსაფრთხოების ტექნიკის მითითებების და ინსტრუქციების არ გათვალისწინებამ შეიძლება გამოიწვიოს ელექტროშოკი, ხანძარი და/ან სერიოზულიმძიმე ტრავმა.

იმოქმედეთ ილუსტრაციების შესაბამისად ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს დასაწყისში.

დანიშნულებისამებრ გამოყენება

მოცემული ელექტროხელსაწყო განკუთვნილია გრძივი და განივი, სწორკუთხოვანი და კუთხის ქვეშ ხერხვის სამუშაოებისთვის.

გამოსახული კომპონენტები

წარმოდგენილი კომპონენტების ნუმერაცია ეხება ელექტროხელსაწყოს სურათს ილუსტრაციების გვერდზე.

(1) ამომრთველი
(2) ამომრთველის ბლოკირება
(3) დამატებითი სახელური (იზოლირებული ზედაპირით)[a)]
(4) შპინდელის ფიქსაციის ღილაკი
(5) ხერხვის კუთხის შკალა
(6) ქანჩყურიანი ხრახნი დახრის კუთხის დასაყენებლად
(7) ქანჩყურიანი ხრახნი პარალელური საყრდენისთვის
(8) ხერხვის კუთხის ნიშნული 45°
(9) ხერხვის კუთხის ნიშნული 0°
(10) პარალელური საყრდენი
(11) ქანქარა დამცავი გარსაცმი
(12) საყრდენი ფილა
(13) ქანქარა დამცავი ბუდის გახსნის რიჩაგი
(14) მილყელი ნახერხის გამოსასვლელად
(15) დამცავი გარსაცმი
(16) სახელური (იზოლირებული ზედაპირით)
(17) ექვსწახნაგა გასაღები
(18) მოსაჭერი ხრახნი საყელურით
(19) მომჭერი მილტუჩი
(20) სახერხი დისკი[a)]
(21) ხერხის შპინდელი საყრდენი მილტუჩით
(22) ხერხვის სიღრმის რეგულირების მომჭერი რიჩაგი
(23) ხეხრვის სიღრმის შკალა
(24) წყვილი ჭახრაკი[b)]
(25) მტვერსასრუტის ადაპტერი[a)]
(26) შესრუტვის ადაპტერის სამაგრი ხრახნი[a)]

a) **ეს აქსესუარები არ შედის მოწოდების სტანდარტულ კომპლექტში.**
b) **სტანდარტული (არ შედის მოწოდების კომპლექტში)**

ტექნიკური მონაცემები

ხელის დისკური ხერხი		GKS 140
სასაქონლო ნომერი		**3 601 FB3 0..**
ნომ. გამოყენებადი სიმძლავრე	ვტ	1400
უქმე სვლის ბრუნების ნომინალური რიცხვი	წთ$^{-1}$	6200
ხერხვის მაქს. სიღრმე სახერხი დისკის 184 მმ დიამეტრის შემთხვევაში		
– ხერხვის 0° კუთხეზე	მმ	64
– ხერხვის 45° კუთხეზე	მმ	45

ხელის დისკური ხერხი		GKS 140
შპინდელის ჩამკეტი		●
საყრდენი ფილის ზომები	მმ	290 x 150
მაქს./მინ. სახერხი დისკის დიამეტრი	მმ	184
სახერხი დისკის ტანის მაქს. სისქე	მმ	2,0
სახეხი ქარგოლის დასაჯდომი ხვრელის დიამეტრი	მმ	20
მასა[A)]	კგ	3,7
დაცვის კლასი		⧈ / II

A) ქსელის კაბელის გარეშე

პარამეტრები მითითებულია ნომინალური ძაბვისთვის [U] 230 ვ. ძაბვის სხვა მნიშველობების შემთხვევაში და ასევე ქვეყნისთვის სპეციფიურ შესრულებაში შესაძლებელია სხვა პარამეტრები.

ჩართვის პროცესები იწვევს ხანმოკლე ძაბვის ვარდნას. ქსელში არახელსაყრელი პირობების შემთხვევაში, შესაძლებელია უარყოფითი ზემოქმედება სხვა მოწყობილობებზე. ქსელის სრული წინაღობისას არა უმეტეს **1,539** ომი არანაირი ხარვეზი არ არის მოსალოდნელი.

მნიშვნელობები შეიძლება ვარირებდეს ნაწარმზე და გამოყენების ვარიანტზე და გარემო პირობებზე დამოკიდებულად. უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოყვანილია საიტზე www.bosch-professional.com/wac.

მონაცემები ხმაურზე/ვიბრაციაზე

ხმაურის ემისია განისაზღვრა **EN 62841-2-5**-ის შესაბამისად.

ელექტროხელსაწყოს A-შეწონილი ხმაურის დონე ზოგადად შეადგენს: ხმის წნევის დონე **99** დბ(ა); ხმის სიმძლავრის დონე **107** დბ(ა). ცდომილება K = **3** დბ.

გამოიყენეთ სმენის ორგანოების დამცავი საშუალებები!

ვიბრაციის მნიშვნელობა a_h (უწყვეტი ვიბრაცია), p_F (განმეორებადი დარტყმითი ვიბრაციები) და ცდომილება K განსაზღვრულია **EN 62841-2-5**შესაბამისად:

ხის ხერხვა: $a_{h,W}$ = **2,5** მ/წმ^2 (K = **1,5** მ/წმ^2), $p_{F,W}$ = **87** მ/წმ^2 (K = **10** მ/წმ^2)

მოცემულ ინსტრუქციაში მოყვანილი ვიბრაციის და ხმაურის დონე გაზომილია სტანდარტიზებული პროცედურის შესაბამისად და შეიძლება გამოყენებულ იქნას ელექტროხელსაწყოების ერთმანეთთან შედარებისთვის.ეს გამოიყენება აგრეთვე ვიბრაციის და ხმაურის წინასწარი შეფასებისთვის.

ვიბრაციის და ხმაურის მითითებული დონეები მოიცავს ელექტროხელსაწყოს გამოყენების ძირითად სფეროებს.თუ ელექტროხელსაწყო გამოიყენება სხვა სფეროებში, განსხვავებული აღჭურვილობით ან არასაკმარისი მომსახურებით, მაშინ ვიბრაციის და ხმაურის დონეები შეიძლება განსხვავდებოდეს.ეს მნიშვნელოვნად ზრდის ვიბრაციის და ხმაურის დონეს მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში.

ვიბრაციის და ხმაურის ზუსტი დონის დასადგენად უნდა გაითვალისწინოთ აგრეთვე დრო, როდესაც ინსტრუმენტი გამორთულია ან მუშაობს, მაგრამ ფაქტიურად არ გამოიყენება.ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ვიბრაციის და ხმაურის დონეს მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში.

განსაზღვრეთ ოპერატორის დაცვის დამატებითი ზომები, მაგ.: ელექტროხელსაწყოს და აღჭურვილობის მომსახურება, ხელების გათბობა, სამუშაო პროცესების ორგანიზება.

მონტაჟი

▶ **გამოიყენეთ მხოლოდ სახერხი დისკები, რომელთა მაქსიმალური ბრუნვის რიცხვი მეტია თქვენი ინსტრუმენტის უქმე სვლის ბრუნების რიცხვზე.**

ხერხის დისკის დაყენება/გამოცვლა

▶ **ელექტროხელსაწყოთი ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას გამორთეთ ელექტროკვების კაბელის შტეფსელი როზეტიდან.**

▶ **სახერხი დისკის მონტაჟისას ჩაისვით დამცავი ხელთათმანები.** სახერხ დისკათ შეხებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმები.

▶ **აკრძალული სახერხი დისკსი გამოყენება დამატებითი ინსტრუმენტის სახით.**

▶ **გამოიყენეთ მხოლოდ სახერხი დისკები პარამეტრებით, რომლებიც მითითებულია ამ ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში და ელექტროხელსაწყოზე, რომელიც გამოცდილია EN 847-1 - ის შესაბამისად და გააჩნია შესაბამისი აღნიშვნა.**

სახერხი დისკსი მოხსნა (იხ. სურ. A)

სამუშაო ინსტრუმენტის გამოსაცვლელად ელექტროხელსაწყო დადეთ ძრავის კორპუსის ტორსულ მხარეზე.

– დააჭირეთ შპინდელის ფიქსირების ღილაკს **(4)** და გეჭიროთ დაჭერილი.

▶ **დააჭირეთ შპინდელის ფიქსაციის ღილაკს (4) მხოლოდ ხერხის შპინდელის სრული გაჩერების შემდეგ.** სხვაგვარად ელექტროხელსაწყო შესაძლოა დაზიანდეს.

– მჭიდროდ მოქაჩეთ ექვსწახნაგა-გასაღებით **(17)** მომჭერი ხრახნი **(18)** ბრუნვის ❶ მიმართულებით.

– გადახსენით ქანქარა დამცავი ბუდე **(11)** უკან და მყარად გეჭიროთ.

– მოხსენით მომჭერი მილტუჩი **(19)** და სახერხი დისკი **(20)** საყრდენი მილტუჩით ხერხის შპინდელს **(21)**.

სახერხი დისკის არჩევა

რეკომენდირებული სახერხი დისკების მიმოხილვა მოყვნილია მოცემული სახელმძღვანელოს ბოლოს.

ხერხის დისკის მონტაჟი (იხ. სურ. A)

სამუშაო ინსტრუმენტის გამოსაცვლელად ელექტროხელსაწყო დადეთ ძრავის კორპუსის ტორსულ მხარეზე.

– გაწმინდეთ სახერხი დისკი **(20)** და ყველა მონტირებადი მოსაჭერი დეტალი.
– გადახსენით ქანქარა დამცავი ბუდე **(11)** უკან და მყარად გეჭიროთ.
– დააყენეთ სახერხი დისკი **(20)** საყრდენი მილტუჩით ხერხის შპინდელზე **(21)**. კბილანების ჭრის მიმართულება (ისარი სახერხ დისკზე) უნდა შეესაბამებოდეს ისრის მიმართულებას დამცავ გარსაცმზე **(15)**.
– დააყენეთ მომჭერი მილტუჩი **(19)** და მოუჭირეთ **(18)** ბრუნვის ❷ მიმართულებით. ყურადღება მიაქციეთ საყრდენი მილტუჩით **(21)** და მომჭერი მილტუჩით ხერხის შპინდელის პოზიციას **(19)**.
– დააჭირეთ შპინდელის ფიქსირების ღილაკს **(4)** და გეჭიროთ დაჭერილი.
– მჭიდროდ მოქაჩეთ ექვსწახნაგა-გასაღებით **(17)** მომჭერი ხრახნი **(18)** ბრუნვის ❷ მიმართულებით. მოჭერის მომენტი უნდა იყოს 6–9 ნმ, რაც შეესაბამება ხელით მოჭერას პლიუს ¼ ბრუნი.

მტვრის და ბურბუშელას მოშორება

არ უგულებელყოთ მუშაობისას მტვრის რაოდენობის შემცირების ზომები. შესაბამისი გამწოვი მოწყობილობა ამცირებს ჯანმრთელობისთვის მავნე მტვრის რაოდენობას. უზრუნველყავით სამუშაო ადგილის კარგი ვენტილაცია. ყოველთვის გამოიყენეთ სასუნთქი ორგანოების დაცვის შესაბამისი საშუალებები. შეძლებისდაგვარად, გამოიყენეთ ამ მასალისთვის შესაფერისი მტვრის მოცილების სისტემა. დაიცავით თქვენს ქვეყანაში მოქმედი რეგულაციები დასამუშავებელი მასალებისთვის.

▶ **მოერიდეთ სამუშაო ადგილზე მტვრის დაგროვებას.** მტვერი მარტივად აალდება.

მოთხოვნები მტვერსასრუტისადმი		
შლანგის რეკომენდირებული ნომინალური დიამეტრი	მმ	**35**
საჭირო გაუხშოება[A]	მბარ ი ჰპა	≥ **230** ≥ **230**
საჭირო ხარჯი[A]	ლ/წმ მ³/სთ	≥ **36** ≥ **129,6**
ფილტრის რეკომენდირებული ეფექტურობა		მტვრის კლასი M[B]

A) სიმძლავრის მნიშვნელობა ელექტროხელსაწყოს შემწოვ მილყელზე

B) IEC/EN 60335-2-69 თანახმად

დაიცავით მტვერსასრუტის მითითებები. შეწოვის სიმძლავრის შემცირებისას შეწყვიტეთ მუშაობა და აღმოფხვრით მიზეზი.

მტვერსასრუტის ადაპტერის მონტაჟი (იხ.გამ. E)

ჩასვით მტვერსასრუტის გადამყვანი **(25)** ნახერხის გამოსასვლელ მილყელში **(14)** წკაპუნამდე. დამატებით დაამაგრეთ მტვერსასრუტის გადამყვანი **(25)** სჭვალით **(26)**.

მტვერსასრუტის გადამყვანზე **(25)** შეგიძლიათ ჩართოთ მტვერსასრუტის შლანგი 35 მმ დიამეტრით.

▶ **მტვერსასრუტი ადაპტერის დაყენება გარე მტვერსასრუტ სისტემის გარეშე აკრძალულია.** სხვაგვარად გამწოვი არხი შესაძლოა გაიჭედოს.

▶ **მტვერსასრუტ ადაპტერში აკრძალული მტვრის ტომარის ჩართვა.**. სხვაგვარად მტვერსასრუტი სისტემა გაიჭედება.

მტვრის მოშორების ოპტიმალურობის მისაღწევად რეგულარულად უნდა გაწმინდოთ მტვერსასრუტის ადაპტერი **(25)**.

ექსპლუატაცია

▶ **ელექტროხელსაწყოთი ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას გამორთეთ ელექტროკვების კაბელის შტეფსელი როზეტიდან.**

მუშაობის რეჟიმი

ხერხვის სიღრმის დაყენება (იხ. სურ. B)

▶ **დაარეგულირეთ ხერხვის სიღრმე ნამზადის სისქეზე.**. ნამზადის ქვეშიდან უნდა ჩანდეს კბილანის სიდიდის მინიმუმ ნახევარი.

აუშვით მოჭერის რიჩაგი **(22)**. ხერხვის ნაკლები სიღრმისთვის ხერხეთ საყრდენი ფილის საწინააღმდეგო მიმართულებით **(12)**; ხერხვის მეტი სიღრმისთვის – საყრდენი ფილის მიმართულებით **(12)**. დააყენეთ საჭირო მნიშვნელობა ხერხვის სიღრმის შკალაზე . ისევ მჭიდროდ მოუჭირეთ მომჭერ რიჩაგს **(22)**.

თუ ვერ ახერხებთ სრულად დააფიქსიროთ ხერხვის სიღრმე მომჭერი რიჩაგის აშვების შემდეგ **(22)**, მოქაჩეთ მომჭერი რიჩაგი **(22)** ხერხვის საწინააღმდეგო მხარეზე და მოატრიალეთ ის. ისევ აუშვით მომჭერი რიჩაგი **(22)**. გაიმეორეთ ეს მოქმედებები, სანამ ხერხვის საჭირო სიღრმე არ დაყენდება.

თუ ვერ ახერხებთ დააფიქსიროთ ხერხვის სიღრმე მომჭერი რიჩაგის დაფიქსირების შემდეგ **(22)**, მოქაჩეთ მომჭერი რიჩაგი **(22)** ხერხვის მხარეზე და მოატრიალეთ ის. ისევ აუშვით მომჭერი რიჩაგი **(22)**. გაიმეორეთ ეს მოწმედებები, სანამ ხერხვის სიღრმე არ დაფიქსირდება.


ხერხვის კუთხის დაყენება

მოათავსეთ ელექტროხელსაწყო დამცავი გარსაცმის ტორსულ მხარეზე. **(15)**.


მოუშვით ფრთების სამაგრი ხრახნები **(6)**. დახარეთ ხერხი გვერდზე. დააყენეთ საჭირო მნიშვნელობა შკალაზე **(5)**. ისევ მოქაჩეთ ქანჩყურიანი ხრახნები **(6)**.


მითითება: ცერი ხერხვისას მისი სიღრმე მნიშვნელობაზე ნაკლებია, რომელიც გამოსახულია ხერხვის სიღრმის შკალაზე **(23)**.

ხერხვის ხაზის ნიშნული



ხერხვის ხაზის ნიშნული 0° **(9)** აჩვენებს სახერხი დისკის მდგომარეობას სწორი კუთხით ხერხვისას. ხერხვის ხაზის ნიშნული 45° **(8)** აჩვენებს სახერხი დისკის მდგომარეობას 45° კუთხით ხერხვისას.





ხერხვისას ორიენტირება აიღეთ სახერხი ნიშნულის მარცხენა ნაწიბურზე, როგორც ნაჩვენებია სურათზე. ამ შემთხვევაში მოხერხილი მონაკვეთი მარჯვენა მხრიდანაა. შეასრულეთ საცდელი ხერხვა.

ექსპლუატაციაში ჩაშვება

- ▶ **გაითვალისწინეთ ძაბვა ელექტრო ქსელში!** კვების წყაროს ძაბვა უნდა შეესაბამებოდეს ელექტროხელსაწყოს მონაცემებს ქარხნულ ფირფიტაზე.

ჩართვა/გამორთვა

- ▶ **დარწმუნდით, რომ შეგიძლიათ ამომრთველით სარგებლობა, ტარის აშვების გარეშე.**

ელექტროხელსაწყოს **ჩასართავად** ჯერ დააჭირეთ ამომრთველი ბლოკირებას **(2)**, ხოლო **შემდეგ** დააჭირეთ და გეჭიროთ ამომრთველი **(1)**.

ელექტროხელსაწყოს **გამოსართველად** აუშვით ამომრთველი **(1)**.

მითითება: უსაფრთხოების მიზნით ამომრთველი **(1)** ვერ იქნება დაფიქსირებული და მუშაობისას ის უნდა ყოველთვის გეჭიროთ.

გამოყენების ინსტრუქცია

- ▶ **ელექტროხელსაწყოთი ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას გამორთეთ ელექტროკვების კაბელის შტეფსელი როზეტიდან.**

ხერხვის სიგანე დამოკიდებულია გამოყენებად სახერხ დისკზე.

დაიცავით სახერხი დისკი დარტყმებისგან.

მიმართეთ ელექტროინსტრუმენტი თანაბრად და მცირე ძალისხმევით ჭრილის მიმართულებით, რათა მიაღწიოთ ჭრის კარგ შედეგს. ძალიან დიდი ზეწოლა საგრძნობლად ამცირებს აღჭურვილობის მოქმედების ვადას და შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება.

ყოველთვის იმუშავეთ მიწოდების მუდმივი სიჩქარით და ყურადღება მიაქციეთ, რომ სახერხი დისკის ბრუნების რიცხვი იყოს მუდმივი.თავიდან აირიდეთ სიჩქარის მომატება (მაგ.: სველი ხის, სამშენებლო ხის ან წკირების დამუშავებისას) და ამასთან დაკავშირებულ ბრუნების რიცხვის შემცირებას, რათა თავიდან აიცილოთ სახერხი დისკის კბილანების გადახურება.

ხერხვის ნაყოფიერება და ნახერხის ხარისხი მეტწილად დამოკიდებულია სახერხი დისკის მდგომარეობაზე და კბილანების ფორმაზე.ამისათვის გამოიყენეთ მხოლოდ ბასრი სახერხი დისკები, რომლებიც უხდება დასამუშავებელ მასალას.

გახეხვის დაწყებისას ან გაგრძელებისას დააცენტრეთ სახერხი დისკი სახერხ ჭრილში და დარწმუნდით, რომ ხერხის კბილანები არ ეხება ნამზადს. ეს თავიდან აგაცილებთ უკუ დარტყმას ან სახეხი დისკის ნამზადიდან ამოსვლას.

ხის ხერხვა

სახერხი დისკის სწორი არჩევანი დამოკიდებულია ხის ჯიშზე და ხარისხზე, აგრეთვე საჭიროა გაითვალისწინოთ, შესრულდება გრძივი თუ განივი ხერხვა.

ნაძვის გრძივი ხერხვისას წარმოიქმნება გრძელი სპირალისებური ბურბუშელა.

წიფელის და მუხის ხის მტვერი განსაკუთრებით მავნეა ჯანმრთელობისთვის, ამიტომ იმუშავეთ მხოლოდ მტვერსასრუტი სისტემის გამოყენებით.

ხერხვა პარალელური საყრდენით (იხ.სურ. C)

პარალელური საყრდენი **(10)** საშუალებას გაძლევთ შეასრულოთ ზუსტი ნახერხები ნამზადის პირზე ან მოახერხოთ მსგავსი ზომის ნაჭრები.

მოუშვით ქანჩყურიანი ხრახნი **(7)** და გაატარეთ პარალელური საყრდენი შკალა **(10)** მიმმართველს შორის საყრდენ ფილაში **(12)**. დააყენეთ ხერხვის საჭირო სიგანე შკალის მნიშვნელობის სახით **(9)** ხაზის შესაბამის ნიშნულზე ან **(8)** სმ განყოფილება "ხერხვის ხაზის მონიშნვა".ისევ მჭიდროდ მოუჭირეთ ქანჩყურიან ხრახნს **(7)**.

ხერხვა დამხმარე საყრდენით (იხ.სურ. D)

დიდი ნამზადების დამუშავებისთვის ან სწორი ჭრილების გასაკეთებლად ნამზადზე შეგიძლიათ დამხმარე ფიცრის ან თამასის დაყენება და დისკური ხერხი ატაროთ საყრდენი ფილით დამხმარე საყრდენის სიგრძეზე.

ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ტექნიკური მომსახურება და გაწმენდა

- ▶ **ელექტროხელსაწყოთი ნებისმიერი სამუშაოს შესრულებისას გამორთეთ ელექტროკვების კაბელის შტეფსელი როზეტიდან.**
- ▶ **სათანადო და უსაფრთხო მუშაობისუზრუნველსაყოფად დაიცავით ელექტრო ხელსაწყოს და ვენტილაციის ჰაერსატარის სისუფთავე.**

თუ საჭიროა შემაერთებელი კაბელის გამოცვლა, ეს უნდა განხორციელდეს **Bosch** ელექტროხელსაწყოების ავტორიზებული სერვის **Bosch** ცენტრში, საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ქანქარა დამცავი ბუდე ყოველთვის თავისუფლად უნდა მოძრაობდეს და თვითნებურად იხურებოდეს. ამისათვის ყოველთვის სუფთად შეინახეთ ქანქარა დამცავი ბუდის გარშემო მონაკვეთი. მტვერი და ბურბუშელა ჯაგრისით მოაშორეთ.

დაფარვის გარეშე სახერხი დისკების დაცვა კოროზიისგან შესაძლებელია მათი დაფარვით ზეთის ფირით მჟავის გარეშე.გახერხვამდე ისევ გაწმინდეთ ზეთისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მერქანი შეიღებება.

ფისის ან წებოს ნარჩენები სახერხ დისკზე ამცირებს ხერხვის ხარისხს. ამისათვის დისკები უნდა გაწმინდოთ გამოყენებისთანავე.

ტექნიკური მომსახურების სამსახური და კონსულტაციები გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით

საქართველო
ტელ.: +995322510073
ჩვენი სერვის-ცენტრების მისამართებისა და გარანტიის პირობების ბმული იხილეთ ბოლო გვერდზე.
რაიმე კითხვების წარმოქმნასთან დაკავშირების შემთხვევაში ან სათადარიგო ნაწილების შეკვეთისას აუცილებლად მიუთითეთ პროდუქციის 10-ნიშნა სასაქონლო ნომერი. ეს ნომერი შეგიძლიათ იხილოთ ხელსაწყოს ქარხნულ ფირფიტაზე.


უტილიზაცია

ელექტროხელსაწყოები, აღჭურვილობა და შეფუთვა უნდა გადაყაროთ გარემოსთვის უსაფრთხო მეთოდით.



არ გადაყაროთ ელექტროხელსაწყოები საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად!






Ø 28 mm:
2 608 000 772 (3.2 m)



GAS 18V-12 MC






Ø 28 mm:
2 608 000 885 (4 m)



GAS 12-40 MA



GAS 35 M AFC



Ø 22 mm:
2 608 000 567 (5 m)
Ø 35 mm:
2 608 000 565 (5 m)




GAS 55 M AFC



Ø 22 mm:
2 608 000 568 (5 m)
Ø 35 mm:
2 608 000 566 (5 m)



1 600 A01 4HJ



optiline WOOD








speedline WOOD fast CUT





CONSTRUCT WOOD fast CUT





Servicekontakte
Service Contacts
Contacts de Service
Contactos de Servicio

https://www.bosch-pt.com/serviceaddresses

Garantiebedingungen
Guarantee Conditions
Conditions de Garantie
Condiciones de Garantía

https://www.bosch-pt.com/guarantee/202601